




1. სამი ერთგვაროვანი ლითონის ბურთულა დამაგრებულია ჰორიზონტალურ ზედაპირზე ისე, როგორც ნახ.1-ზეა ნაჩვენები. მარცხენა ბურთულას გადასცეს  $3q$  მუხტი. იპოვეთ კულონური ძალა, რომელიც მუხტების გადანაწილების შემდეგ იმოქმედებს პირველ და მესამე მუხტს შორის, თუ ბურთულების რადიუსებია  $R$ .
2. თითო გრამი მასის ბურთულები დამუხტულია ერთნაირად. ბურთულები დაკიდებულია ისე როგორც ნახაზ.2-ზეა ნაჩვენები. ერთ-ერთი ბურთულა განმუხტეს.  $AB$  ძაფის დაჭიმულობა განახევრდა. იპოვეთ ბურთულების მუხტი, თუ  $AB=1\text{მ}$ ,  $k=9\cdot 10^9 \text{ ნმ}^2/\text{კ}^2$
3. ტოლგვერდა სამკუთხედის წვეროებში მოთავსებულია ერთნაირი  $q$  სიდიდის მუხტები. იპოვეთ ველის დამაბულობა სამკუთხედის ერთ-ერთი გვერდის შუა წერტილში. მუხტები მოთავსებულია  $E$  შეღწევადობის მქონე დიელექტრიკში. სამკუთხედის გვერდი არის  $a$ .
4.  $R$  რადიუსის მქონე სფეროს მუხტია  $q$ . იპოვეთ პოტენციალი და დამაბულობა ცენტრიდან  $R/2$  -ით დაშორებულ წერტილში.
5. ორი  $+q$  და  $-2q$  სიდიდის მუხტის მქონე ნაწილაკი უძრავად მოთავსებულია ერთმანეთისაგან  $r$  მანძილზე. დაადგინეთ, ნაწილაკებზე გამავალ წრფეზე სად იქნება პოტენციალი 0-ის ტოლი.
6.  $q$  მუხტის გარშემო  $R$  რადიუსის წრიულ ორბიტაზე ბრუნავს  $m$  მასის და  $-q$  სიდიდის მუხტის მქონე ნაწილაკი. შეადარეთ ნაწილაკის კინეტიკური და პოტენციური ენერგიები.
7. ნახ.3-ზე მარცხენა სფეროს რადიუსია  $R$ , მარჯვენასი კი  $2R$ .  $AB=3R$ . მარცხენა სფეროს მუხტია  $q$ , მარჯვენასი კი  $4q$ . იპოვეთ პოტენციალები  $A$  და  $B$  წერტილებში.
8. ორ ბრტყელ პარალელურ ფირფიტას შორის მანძილია  $d$ . ფირფიტები დამუხტულია შესაბამისად  $+\sigma$  და  $-\sigma$  ზედაპირული სიმკვრივით. იპოვეთ, რა დროში გაივლის უსაწყისო სიჩქარის მქონე ელექტრონი მანძილს უარყოფითი ფირფიტიდან დადებით ფირფიტამდე.



ნახ. N1



ნახ. N2



ნახ. N3